21-ე საუკუნის 21 გამოწვევა: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

პროგრამული ანგარიში

2017 წლის 3,4 და 5 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა CODFREURCOR-ის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ფრანკოფონული სადოქტორო კოლეჯი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) მე-5-ე **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *„21-ე საუკუნის 21 გამოწვევა: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები“*.** კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 40 ქართველმა მეცნიერმა საქართველოს 7 უნივერსიტეტიდან (მათ შორის 15 დოქტორანტმა) და 45 უცხოელმა მეცნიერმა (მათ შორის 8 დოქტორანტმა) მსოფლიოს 15 ქვეყნიდან.

კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა 3 ოქტომბერს.

კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური, რუმინული.

კონფერენციაზე ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ წარმოდგენილი იყო 7 პლენარული მოხსენება. მათ შორის ორი მოხსენება წარმოადგინეს ქართველმა მეცნიერებმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ნინო დობორჯგინიძემ (თანამომხსენებლები ასოცირებული პროფესორი, ირინა ლობჟანიძე და დოქტორანტი, მაია დამენია) და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, თინათინ ბოლქვაძემ; ხუთი - მოწვეულმა პროფესორებმა: ილიას უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტის (პოლ ვალერის უნივერსიტეტი - მონპელიე 3) სამმა პროფესორმა - უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფრანკოფონიის სფეროში, ან-მარი მოტარმა, ცნობილმა სოციოლინგვისტმა, ანრი ბუაიემ და ფრანკოფონული ლიტერატურის ცნობილმა სპეციალისტმა, მაქსიმ დელ ფიოლმა, შედარებითი ლიტერატურისა და თარგმანის თეორიის ცნობილმა სპეციალისტმა, ექსი-მარსელის უნივერსიტეტის პროფესორმა, პარიზის მსოფლიო კვლევის კოლეჯის ხელმძღვანელმა ალექსი ნუსელოვიჩმა (ნუსი), ევროპის ლიტერატურული თარგმანის ცენტრის დამაარსებელმა და დირექტორმა, გერმანულენოვანი ლიტერატურის ფრანგულ ენაზე მთარგმნელმა, ფრანსუაზ ვუილმარმა. თითოეული მათგანისთვის განსაზღვრული იყო 40-45 წუთი მოხსენებისა და 10 წუთი დიკუსიისათვის.

მოხსენებების უმრავლესობა (59 მოხსენება) წარმოდგენილ იქნა ფრანგულ ენაზე, 14 ქართულ ენაზე, დანარჩენი - ინგლისურ, იტალიურ და რუმინულ ენებზე.

კონფერენციის თემატიკა იყო მრავალფეროვანი და მონაწილეების რაოდენობიდან გამომდინარე სამი დღის განმავლობაში მუშაობდა ორჯერადად სამი-ოთხი პარალელური სექცია. სულ გაიმართა 21 სესია: 3 ოქტომბერს - 8 სესია, რომლებზეც წარმოდგენილი იქნა 30 მოხსენება; 4 ოქტომბერს - 6 სესია (23 მოხსენება) და 5 ოქტომბერს - 7 სესია (25 მოხსენება). სექციები მუშაობდა თემების მიხედვით, რომლებიც ეხებოდა იმ გამოწვევებს, რომლებიც 21-ე საუკუნის, ახალი ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის საშუალებათა მრავალფეროვნების საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა და რომლებიც გარკვეულწილად განსაზღრავენ იმ ამოცანებსა და პრობლემებს, რომელთა გადაჭრის საშუალებები შემოგვთავაზეს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებებმა.

შესაბამისად, კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა კვლევების ისეთ მთავარ სფეროებზე, როგორებიცაა: გლობალიზაცია - 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა და თანამედროვე ფილოლოგია, ლინგვისტური და კულტურული პროცესები - პლურილინგვიზმი, პლურიკულტურალიზმი და საგანმანათლებლო და ენობრივი პოლიტიკა, ციფრული ჰუმანიტარია, თანამედროვე ლიტერატურა, გადასახლებული მწერლების ლიტერატურა, ხელოვნება, ფოლკლორი, ენათა კონტაქტები - ახალი მიდგომები ენის, კულტურის, ლიტერატურის სწავლებაში; ინტერკულტურული დიალოგი და ტრადუქტოლოგია; გამოყენებითი ენათმეცნიერება; ახალი სპეციალიზირებული სფეროების ტერმინოლოგიების სოციოკულტურული თავისებურებები; კორპუსის ლინგვისტიკა; ენობრივი, კულტურული, რელიგიური და ა.შ. იდენტობა, მედია საშუალებების თავისუფლების საკითხი, რელიგია და თანამედროვე მსოფლიო.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება 2018 წლის აგვისტოში ჟურნალის ***Études interdisciplinaires en Sciences humaines (ინტერდისციპლინარული კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში)*** მე-5 ნომერში, რაც საშუალებას მისცემს უფრო ფართო საზოგადოებას, გაეცნოს უახლეს მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით შესრულებულ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის მეცნიერების კვლევებს. 7 პლენარული მოხსენების ვიდეო ჩანაწერი სრულად განთავსდება იუთუბზე უნივერსიტეტის პორტალზე.

კონფერენციის პარალელურად გაიმართა CODFREURCOR-ის დაარსების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული CODFREURCOR-ის მრავალეონავი ჟურნალის ***Etudes interdisciplinaires en Sciences humaines (ინტერდისციპლინქრული კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში)*** მე-4-ე ნომრის პრეზენტაცია.

3 ოქტომბერს, 18 სთ-ზე გამართულ ოფიციალურ მიღებაზე ხელი მოეწერა თანამშრომლობის მე-4 შეთანხმებას მორიგი 5 წლიანი პერიოდისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლ ვალერის უნივერსიტეტ - მონპელიე 3-ს შორის.

4-5 ოქტომბერს გაიმართა საერთაშორისო ასოციაციის AFELSH (ფილოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებისა და დაწესებულებების ასოციაცია) ახლადარჩეული აღმასრულებელი კომიტეტის შეკრება.

კონფერენციის დასასრულს მონაწილეებს დაურიგდათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

საერთასორისო სამეცნიერო კონფერენცია ***„21-ე საუკუნის 21 გამოწვევა: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები“*** მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე კუთხით. პირველ რიგში, წარმოდგენილი თემატიკით, რომლის განხილვის დროს კონფერენციაში მონაწილე მეცნიერებს მიეცათ საშუალება, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება, ერთობლივად დაფიქრებულიყვნენ იმ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე, რომელთა წინაშეც თანამედროვე მსოფლიო აღმოჩნდა.

აღნიშნული კონფერენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, დოქტორანტებისთვის, რომელთაც საშუალება მიეცათ, მოესმინათ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერებისათვის, ჩართულიყვნენ დისკუსიაში და დაეხვეწათ ეს მნიშვნელოვანი ხელოვნება. უაღრესად მნიშვნელოვანია მათთვის ის გარემოება, რომ მათი კვლევების შედეგები დაიბეჭდება გამოჩენილი მეცნიერების შრომებთან ერთად.

აღნიშნული კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ახალი პროექტების შემუშავების თვალსაზრისითაც. კერძოდ, კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ექსი-მარსელის უნივერსიტეტის პროფესორი, პარიზის მსოფლიო კვლევის კოლეჯის ხელმძღვანელი ალექსი ნუსელოვიჩი (ნუსი). ვინაიდან კონფერენციაში 15 სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარი იღებდა მონაწილეობას, ეს შესანიშნავი შესაძლებლობა აღმოჩნდა კონფერენციის ბოლო დღეს მას ჩაეტარებინა მრგვალი მაგიდა თემაზე «რეგიონალური ლიტერატურული სივრცეები“.

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა ქართველმა და უცხოელმა მომხსენებლებმა. ალექსი ნუსელოვიჩის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი სამეცნიერო პროექტს, რომელიც ლიტერატურულ სივრცეს მოიაზრებს როგორც წყნარი ოკეანისპირეთის, შავი ზღვისპირეთის, კარიბის, ბალკანეთის ლიტერატურულ სივრცეებად. შესაბამისად, მისი აზრით, საინტერესო იქნებოდა მუშაობა იმაზე, თუ რა აკავშირებთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნების ლიტერატურებს ერთი მეორესთან, მიმდინარეობდა თუ არა წარსულში ან კიდევ დღესდღეობით

იდეების ცირკულაცია ლიტერატურულ დონეზე, რა საერთო ხაზი შეიძლება გამოიკვეთოს ამ წარმოსახვით გეოგრაფიულ სივრცეში მოსაზღვრე ქვეყნებს შორის ლიტერატურის სფეროში? პროექტის პირველი ეტაპი მოიაზრებს ამ საკიხით დაინტერესებულ მკვლევართა ჯგუფის შედგენას, შესაბამისი მასალების მოძიებას, მათ თემატიზირებას და კვლევას, ხოლო შემდეგ ეტაპზე თეორიული ასპექტების შემუშავებას ითვალისწინებს.

სამომავლოდ იგეგმება საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება შავიზღვისპირეთის ქვეყნების ლიტერატურაში და საერთაშორისო შედარებითი ლიტერატურათმცოდნების ასოციაციის მიერ გამოცემული ჟურნალის ფარგლებში რამდენიმე კრებულის გამოქვეყნება.

ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ ის, რომ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები კიდევ უფრო ხელმისწვდომი გახდება უცხოელი მეცნიერებისათვის, ვინაიდან კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და გავრცელდება მსოფლიოს საუნივერსიტეტო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში.

ეს კონფერენცია ხელს შეუწყობს აგრეთვე საუნივერსიტეტო თანამშრომლობის გაღრმავებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს დიდი გამოცდილება ამ სფეროში და ჰყავს ბევრი პარტნიორი უნივერსიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთში, განსაკუთრებით, პოლ ვალერის უნივერსიტეტი - მონპელიე 3, რომელთან ნაყოფიერი თანამშრომლობაც უკვე 15 წელს ითვლის და რის შედეგადაც, საქართველოში პირველად ეს ორი უნივერსიტეტი გასცემდა „ორმაგ“ დიპლომებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. დღეს ამ ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევით დონეზე სამი მიმართულებით ხორციელდება - ენის მეცნირებების, გამოყენებითი უცხო ენებისა და შუა საუკუნეების კვლევების.

ტრადიციისამებრ, CODFREURCOR დაარსების დღიდან ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას როგორც დოქტორანტების, ისე ცნობილი პროფესორების, მეცნიერების, მკვლევრების მონაწილეობით მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტებიდან. მორიგი, მე-6 კონფერენცია ჩატარდება რუმინეთის ქალაქ იასიში. 3 ოქტომბერს ოფიციალურ მიღებაზე მასპინძელი უნივერსიტეტის პროფესორმა როქსანა პატრაშმა გააკეთა მომავალი საერთაშორისო კონფერენციის თემატიკის პრეზენტაცია.